ქ. თბილისი

13. 02. 2019 წ.

ბრძანება N 08

შპს მეცნიერებათა სკოლის სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ

შპს მეცნიერებათა სკოლის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, „ო" ქვეპუნქტის, საქმისწარმოების ინსტრუქციის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს შპს მეცნიერებათა სკოლის სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი გეგმა დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სკოლის საქმისმწარმობელს ამ ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა;
3. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

შპს მეცნიერებათა სკოლის
დირექტორი

სოფიო სუხიშვილი

ქ. გორი 01.05.2020 წ.

ბრძანება N 01-47

„შპს მეცნიერებათა სკოლის სტრატეგიული განვითრების ერთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს მეცნიერებათა სკოლის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის N08 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

შპს მეცნიერებათა სკოლის სტრატეგიული განვითრების ერთწლიან გეგმაში მნიშვნელოვანია გაწერილ იქნას პასუხისმგებელი პირები, რის გამოც მიზანშეწონილია ცვლილების შეტანა შპს მეცნიერებათა სკოლის სტრატეგიული განვითრების ერთწლიან გეგმაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და შპს მეცნიერებათა სკოლის წესდების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „შპს მეცნიერებათა სკოლის სტრატეგიული განვითრების ერთწლიანი გეგმის დამტკიცების შესახებ“ შპს მეცნიერებათა სკოლის დირექტორის 2019 წლის 13 თებერვლის N08 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული დანართი შეიცვალოს ახალი თანდართული დანართით.
2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის N30).

შპს მეცნიერებათა
სკოლის დირექტორი **სოფიო სუხიშვილი**

SCHOOL OF SCIENCE LLC 405317982

შპს მეცნიერებათა სკოლის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა (2020-2021)

1. შპს მეცნიერებათა სკოლის (შემდგომში სკოლა) სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი გეგმა შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, სასკოლო-სასწავლო გეგმისა და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.
2. სკოლის ერთწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა განსაზღვრავს სკოლის ძირითად მიმართულებებსა და აქტივობებს ერთი წლის განმავლობაში.
3. სკოლის ერთწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება სკოლის მისიას და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგულაციებს.
4. სკოლის ერთწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა ასახავს სკოლის საქმიანობის ძირითად მახასიათებლებს და სავალდებულოა გასათვალისწინებლად სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეულისათვის.
5. სკოლის საქმიანობა, რომელიც არ გულისხმობს სტრატეგიით დასახული მიზნების რეალიზებას, მიჩნეულია დამხმარე საქმიანობად და შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ხელს არ უშლის სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას ან/და არ აბრკოლებს მათ.

სკოლის მიზნები და ამოცანები

სკოლის მიზანია:

- უზრუნველყოს მოსწავლეები ხარისხიანი განათლებით, გაზარდოს ცოდნის მიღებაზე ორიენტირებული, კრიტიკულად და შემოქმედებითად მოაზროვნე, დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეები.
- შექმნას მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული, ფსიქოლოგიურად ჯანსაღი საგანმანათლებლო გარემო, გამოუმუშაოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემოქმედებითად სწავლების საფუძველზე კვლევა-ძიებისა და ცოდნის დამოუკიდებლად გამდიდრების უნარი.

სკოლის ამოცანებია:

1. ორგანიზაციული განვითარება ხედვა - სკოლის მმართველობაში თანამედროვე მართვის სისტემის დამკვიდრება.
   - ✓ ვებ -გვერდის განვითარება.
   - ✓ ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება.

- ✓ სკოლის თვითშეფასების მექანიზმების დამკვიდრება და განვითარება.
- ✓ მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა.
- ✓ საბუნებისმეტყველო საგნების კაბინეტ-ლაბორატორიაში ლაბორანტის პოზიციის შემოღება ლაბორატორიული სამუშაოების ეფექტურად განხორციელების მიზნით.

პასუხისმგებელი პირი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საინფორმაციო მენეჯერი, კათედრის ხელმძღვანელები;

ვადები: 2020-2021სასწავლო წელი

2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა ხედვა - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობის მიზნით.

- ✓ ელექტრონული ჟურნალების დანერგვა და მშობლებისთვის მისი წვდომის უზრუნველყოფა.
- ✓ ლაბორატორიებისა და კაბინეტების განახლება.
- ✓ ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა - ბიბლიოთეკის ელექტრონული და ბეჭდური კატალოგის შექმნა/შეძენა.
- ✓ ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება-გამდიდრება.
- ✓ ინვენტარისა და ტექნიკური საშუალებების განახლება.

პასუხისმგებელი პირი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბიბლიოთეკარი,

ვადები: 2020-2021 სასწავლო წელი

3. სასწავლო პროცესის ეფექტური მართვა, ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა ხედვა - ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ხარისხის განვითარებისა სისტემის შემუშავება, შიდა შეფასების მექანიზმის დანერგვა, ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესში, ტოლერანტული, მოტივაციის ხელშემწყობი სასწავლო გარემოს შექმნა.

- ✓ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემოქმედებითად სწავლება და მოსწავლეებში კვლევა-ძიებისა და ცოდნის დამოუკიდებლად გამდიდრების უნარის გამომუშავება
- ✓ თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენება და დახვეწა.
- ✓ მოსწავლეთა პორტფოლიოს დანერგვა.
- ✓ მოსწავლეთა განვითარების დინამიკის შესწავლა.
- ✓ სასწავლო მასალების შემუშავება და განახლება.
- ✓ ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა.
- ✓ სასკოლო კონფერენციების, პრეზენტაციების ჩატარება.

პასუხისმგებელი პირი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მასწავლებლები, ფსიქოლოგი
ვადები: 2020-2021 სასწავლო წელი

4. მოსწავლეთა კლასგარეშე აქტივობების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა ხედვა - მოსწავლეების თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციის, სოციალური აქტივობის ხელშეწყობა.

- ✓ მოსწავლეთა ჯგუფების/წრეების შექმნა ინტერესის მიხედვით (ინტელექტუალური, სპორტული, შემეცნებითი, გასართობი და სხვა).
- ✓ შემეცნებითი ტიპის ღონისძიებების ორგანიზება.
- ✓ სპორტული ტიპის ღონისძიებების ორგანიზება.

პასუხისმგებელი პირი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები;
ვადები: 2020-2021 სასწავლო წელი

5. მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული ზრდის მოტივაცია ხედვა - მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტური სისტემის დანერგვა.

❖ ტრენინგები და სემინარები

- ✓ პედაგოგების წახალისება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით.
- ✓ დამწყები მასწავლებლების მომზადების ხელშეწყობა გამოცდებისათვის.
- ✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შიდა მექანიზმის დანერგვა.

❖ თანამშრომლობა

- ✓ გუნდური მუშაობის პრინციპის დანერგვა.
- ✓ პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვა.
- ✓ გამოცდილების გაზიარება.

❖ პორტფოლიოს პრინციპი

- ✓ მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება.
- ✓ პორტფოლიოს შეფასება.

პასუხისმგებელი პირი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კათედრის ხელმძღვანელები;
ვადები: 2020-2021 სასწავლო წელი

6. უსაფრთხო გარემო ხედვა - მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ბულინგის დაუშვებლობა.

- ✓ ყველასათვის უსაფრთხოების წესების გაცნობა.
- ✓ დისციპლინის რეგულარული მონიტორინგი.
- ✓ მოსწავლეთა ჯანმრთელობის მონიტორინგი.
- ✓ ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.
- ✓ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა.
- ✓ ინკლუზიური მოსწავლეებისათვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე(სსსმ) მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემოს განვითარება.
- ✓ ფსიქოლოგიური სამსახურის ეფექტური ფუნქციონირება.

პასუხისმგებელი პირი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სკოლის ექიმი, სკოლის ფსიქოლოგი, დაცვის ოფიცერი

ვადები: 2020-2021 სასწავლო წელი

7. შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება ხედვა - მშობლებთან კომუნიკაცია და ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული თანამშრომლობითი მიდგომა.

- ✓ მშობლებსა და სკოლას შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბება.
- ✓ შემეცნებითი ექსკურსიების ჩატარება, გასვლითი ღონისძიებები თეატრებში, კინო თეატრებში, კონცერტებზე და ა.შ.

პასუხისმგებელი პირი: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, კლასის დამრიგებლები;

ვადები: 2020-2021 სასწავლო წელი

სკოლის swot ანალიზზე მუშაობისას ჩაატარა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების, არსებული შესაძლებლობებისა და რისკების ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

ძლიერი მხარეები:

- საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- კარგად აღჭურვილი ქიმიის, ბიოლოგია-ანატომიის, ფიზიკის, გეოგრაფიის, უცხო ენების კაბინეტ-ლაბორატორიის არსებობა;
- ბიბლიოთეკა აღჭურვილი განახლებული მხატვრული და სასწავლო წიგნადი ფონდით, ასევე კომპიუტერებით, სამკითხველო, მოსასვენებელი და დებატების სივრცით;
- კომპიუტერული ცენტრი;

- ინტელექტუალური ოთახი მოსწავლეთა სწავების, გართობა - დასვენებისთვის;
- მუსიკის ოთახი;
- თავისუფალი ზონა დებატებისთვის, შეხვედრებისთვის და სხვადასხვა პროექტების განხილვისთვის;
- შევედრების ოთახი სკოლის მართვის ორგანოების, მშობლების და მოსწავლეთათვის;
- სპორტული დარბაზის არსებობა;
- მასწავლებელთა და მოსწავლეთ კაფეტერია.

სუსტი მხარეები:

- ზოგადსაგანმანათლებლო სფეროში ნაკლები ცნობადობა;
- ქალაქის ცენტრიდან სკოლის დაშორებული მდებარეობა;

შესაძლებლობები:

- სერთიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობის გაზრდა;
- მასწავლებლების წახალისება სერთიფიცირების წარმატებით გავლისათვის;
- მასწავლებლების ტრენინგები და მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;
- კონფერენციაბის, ოლიმპიადებისა და კონკურსებისათვის მოსწავლეების მომზადება;
- საჭიროების მიხედვით ბავშვებთან ინდივიდუალური მუშაობის უზრუნველყოფა;
- მოსწავლეთა ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფა;

რისკები:

- ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში ცნობადობის ვერ მოპოვება;
- ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და გადამხდელუნარიანი ოჯახების შემცირება;

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

N	აქტივობები	პერიოდი				
		ოქტომბერი დეკემბერი	იანვარი მარტი	აპრილი ივნისი	ივლისი სექტემბერი	შესრულების ინდიკატორები
1	ორგანიზაციული განვითარება ხედვა - სკოლის მმართველობაში თანამედროვე მართვის სისტემის დამკვიდრება					

1.1	ვებ გვერდის განვითარება	+	+	+	+	ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია
1.2	ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება	+	+	+	+	განახლებული ინფრასტრუქტურა
1.3	სკოლის თვითშეფასების მექანიზმების დამკვიდრება და განვითარება				+	თვითშეფასების მექანიზმები
1.4	მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა	+	+	+	+	მასწავლბელების ორგანიზებული ტრენინგები
1.5	საბუნებისმეტყველო საგნებში ლაბორანტის პოზიციის შემოღება ლაბორატორიული სამუშაოების ეფექტურად განსახორციელებლად				+	ლაბორანტის არსებობა
2.	მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა ხედვა - თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სწავლა-სწავლების პროცესის ხელშეწყობის მიზნით					
2.1	ელექტრონული ჟურნალების დანერგვა და მშობლებისთვის მისი წვდომის უზრუნველყოფა				+	ელექტრონული ჟურნალის არსებობა და მშეობლების ინფორმირების მექანიზმების არსებობა
2.2	ინვენტარისა და ტექნიკური საშუალებების განახლება		+	+	+	განახლებული ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები
2.3	ლაბორატორიებისა და კაბინეტების განახლება		+	+	+	განახლებული ლაბორატორიები და კაბინეტები
2.4	ელექტრონული ბიბლიოთეკის შექმნა - ბიბლიოთეკის ელექტრონული და				+	Ofen Biblio-ს არსებობა

	ბეჭდური კატალოგის შექმნა/შეძენა					
2.5	ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება-გამდიდრება		+	+	+	განახლებული წინგადი ფონდი
3	სასწავლო პროცესის ეფექტური მართვა, ხარისხიანი სწავლების უზრუნველყოფა ხედვა - ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა მოსწავლეების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით. ხარისხის განვითარებისა სისტემის შემუშავება, შიდა შეფასების მექანიზმის დანერგვა, ტექნოლოგიების გამოყენება საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესში, ტოლერანტული, მოტივაციის ხელშემწყობი სასწავლო გარემოს შექმნა					
3.1	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შემოქმედებითად სწავლება და მოსწავლეებში კვლევა-ძიებისა და ცოდნის დამოუკიდებლად გამდიდრების უნარის გამომუშავება				+	ლაბორატორიული სამუშაოების ეფექტური ჩატარება; კვალიფიციური მასწავლებლის არსებობა
3.2	თანამედროვე სწავლების მეთოდების გამოყენება და დახვეწა	+			+	თანამედროვე მეთოდებით მრავალფეროვანი რესურსებით ჩატარებული გაკვეთილები
3.3	მოსწავლეთა პორტფოლიოს დანერგვა				+	მოსწავლეთა პორთფოლიოს არსებობა
3.4	მოსწავლეთა განვითარების დინამიკის შესწავლა				+	კვლევების ჩატარება
3.5	ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა				+	მოწყობილი რესურსოთახი; ადაპტირებული გარემო
3.6	სასკოლო კონფერენციების, პრეზენტაციების ჩატარება.				+	კონფერენციის ჩატარების დოკუმენტაცია

3.7	სასწავლო მასალების შემუშავება და განახლება				+	განახლებული სასწავლო მასალები
4	მოსწავლეთა კლასგარეშე აქტივობების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა ხედვა - მოსწავლეების თვითგამოხატვის, თვითრეალიზაციის, სოციალური აქტივობის ხელშეწყობა					
4.1	მოსწავლეთა ჯგუფების/წრეების შექმნა ინტერესის მიხედვით (ინტელექტუალური, სპორტული, შემეცნებითი, გასართობი და სხვა)				+	სხვადასხვა ჯგუფების მუშაობა
4.2	შემეცნებითი ტიპის ღონისძიებების ორგანიზება				+	ღონისძიებების გამართვა
4.3	სპორტული ტიპის ღონისძიებების ორგანიზება				+	სპორტული ღონისძიებების გამართვა
5	მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და პროფესიული ზრდის მოტივაცია ხედვა - მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტური სისტემის დანერგვა					
5.1	მასწავლებლების წახალისება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებით				+	პრემიების, ჯილდოების გაცემა
5.2	მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შიდა მექანიზმის დანერგვა	+	+	+	+	შიდა მექანიზმების არსებობა
5.3	გუნდური მუშაობის პრინციპის დანერგვა, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მიდგომა, გამოცდილების გაზიარება	+	+	+	+	შეხვედრების ორგანიზება
5.4	მასწავლებელთა საქმიანობის შეფასება, პორტფოლიოს შეფასება				+	შეფასებების არსებობა
5.5	დამწყები მასწავლებლების მომზადების ხელშეწყობა გამოცდებისათვის				+	მომზადების კურსების არსებობა
6	უსაფრთხო გარემო ხედვა - მოსწავლეთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ბულინგის დაუშვებლობა					

6.1	ყველასათვის უსაფრთხოების წესების გაცნობა				+	გაცნობის დამადასტურებელი დოკუმენტის არსებობა
6.2	დისციპლინის რეგულარული მონიტორინგი	+	+	+		მონიტორინგის დოკუმენტაცია
6.3	მოსწავლეთა ჯანმრთელობის მონიტორინგი	+	+	+		მონიტორინგის დოკუმენტაცია
6.4	ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია	+	+	+		ტრენინგ-სემინარების და სპორტული ღონისძიებების ჩატარება
6.5	სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა	+	+	+		მონიტორინგის დოკუმენტაცია
6.6	ინკლუზიური მოსწავლეებისათვის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეთათვის ადაპტირებული გარემოს განვითარება	+	+	+	+	ადაპტირებული ინფრასტრუქტურის არსებობა
6.7	ფსიქოლოგიური სამსახურის ეფექტური ფუნქციონირება	+	+	+		ამსახველი დოკუმენტაცია
7	შიდა და გარე კომუნიკაციის განვითარება ხედვა - მშობლებთან კომუნიკაცია და ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული თანამშრომლობითი მიდგომა					
7.1	მშობლებსა და სკოლას შორის თანამშრომლობითი ურთიერთობის ჩამოყალიბება	+	+	+		შესაბამისი დოკუმენტაციის არსებობა
7.2	შემეცნებითი ექსკურსიების ჩატარება, გასვლითი ღონისძიებები თეატრებში, კინოთეატრებში, კონცერტებზე და ა.შ.	+	+	+		ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია